დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **მაკა მამფორია**

წევრები:

ნათელა ბასილია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

მაია მერებაშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ლარცულიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო მურუსიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386786

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაური, სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაური, სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chkhutuneti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ 2026 წლის 24 თებერვლის MES 6 26 0000210172 ბრძანება - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26 და 27 მარტი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ხელვაჩაური სოფელ ქვედა ჩხუტუნეთი შენობა N1, სოფელი ზედა ჩხუტუნეთი შენობა N-2.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ხელვაჩაური სოფელ ქვედა ჩხუტუნეთი შენობა N1, სოფელი ზედა ჩხუტუნეთი შენობა N-2.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ხელვაჩაური სოფელ ქვედა ჩხუტუნეთი შენობა N-1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 24 თებერვლის MES 6 26 0000210172 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 26 და 27 მარტს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რომელიც ეფუძნება მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ურთიერთპატივისცემას, ზრუნვასა და ემოციურ უსაფრთხოებას, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ ნდობასა და კეთილგანწყობასა საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ. აღნიშნული კულტურა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა ინტეგრაციის მაღალი ხარისხი და მათი აკადემიური თუ ფუნქციური უნარების დინამიკური პროგრესი დასტურდება როგორც შიდა მონიტორინგით, ისე მშობელთა მხრიდან ინტერვიუების დროს გაჟღერებული პოზიტიური უკუკავშირით. სკოლაში არსებული თანამშრომლობის მაღალი კულტურა უზრუნველყოფს მშობელთა, როგორც სანდო პარტნიორების, აქტიურ ჩართულობას და მასწავლებელთა კოორდინირებულ გუნდურ მუშაობას, რაც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ემპათიის გაძლიერებასა და მხარდამჭერი, განმავითარებელი საგანმანათლებლო გარემოს მდგრადობაზე

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **200**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს საგნების: სპორტი, მუსიკა, მე და საზოგადოება, ისტ და დაწყებით კლასების კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს • სათანადო ოდენობის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამატება სკოლის ორივე შენობის შიდა და გარე პერიმეტრისთვის; • შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვება

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N.3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და მოახდინოს სოფელ ზემო ჩხუტუნეთში მდებარე სკოლის სასწავლო კორპუსისთვის სკოლის ექიმის/ექთნის დასაქმება ან პირველადი/გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში, მომზადებული/გადამზადებული პერსონალით უზრუნველყოფა.*
ინდიკატორი N 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, (აპრილი,2026 - აპრილი, 2028) სწავლის ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით, უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის, ლიფტი ან მოძრავი პანდუსის მოწყობა სკოლის ქვემო ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო შენობაში.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N.2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს საგნების: სპორტი, მუსიკა, მე და საზოგადოება, ისტ და დაწყებით კლასების კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N.2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადამ (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის საბაზო საფეხურისთვის უზრუნველყოს სპორტის და მუსიკის კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N 1.1.1.6.	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს	• ***სასურველია,*** *სკოლამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება და მასში დაწესებულების ოფიციალური დასახელების მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.*
ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	• ***სასურველია,*** *ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ამოცანებისა და აქტივობების მკაფიო გამიჯვნა: ამოცანები ფორმულირდეს შედეგზე ორიენტირებულად, ხოლო აქტივობები - მათი მიღწევის კონკრეტულ ნაბიჯებად. თითოეული აქტივობისთვის განისაზღვროს კონკრეტული მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები. ასევე, უფრო დეტალურად გაიწეროს პასუხისმგებელი პირებისა და ერთეულების ფუნქციები შესასრულებული სამუშაოს ჭრილში.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***

ინდიკატორი N.3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	• *ვინაიდან სკოლას 2 სხვადასხვა სოფელში აქვს სასწავლო კორპუსი, სასურველია, გაიზარდოს დარაჯის რაოდენობა, რათა შეძლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასვენების ხანგრძლივობის დაცვა ცვლებს შორის და ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	• ***სასურველია**, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.* • ***სასურველია, განახლდეს** ზედა ჩხუტუნეთის სკოლას შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება შენობის არსებულ კონფიგურაციასთან.*
ინდიკატორი N.3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ	***სასურველია**, სკოლამ მოქმედ ვებ გვერდზე ატვირთოს სკოლის შინაგანაწესი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	***სასურველია,** სკოლამ შეიმუშაოს მოკლე ანგარიში მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული კონკრეტული ცვლილებების შესახებ.*
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	***სასურველია,** სკოლამ უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების გადაფასების პროცედურის ჩატარება მინისტრის N16/ნ ბრძანების შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	***რჩევა***

	(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***რჩევა:. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- 3 კლასის კურიკულუმში პირველ სვეტში დაზუსტდეს სავალდებულო თემები (მე-3 კლასში ორი სავალდებულო თემაა (ჩემი ქვეყნის ბუნება და მზის სისტემა), სახელმძღვანელოს თავების დასახელება კი შეიძლება მიეთითოს პარაგრაფების ან საკითხების გვერდით. ასევე, 4 კლასის კურიკულუმის პირველ სვეტში დაზუსტდეს სავალდებულო თემები (მე-4 კლასში ორი სავალდებულო თემაა (დედამიწა და ციკლური პროცესები ბუნებაში), სახელმძღვანელოს თავების დასახელება კი შეიძლება მიეთითოს პარაგრაფების ან საკითხების გვერდით.* ***დაწყებითი კლასის*** *კურიკულუმებში მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში.* ***რჩევა- მათემატიკა*** *- კარგი იქნება, თუ მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*რჩევა: მათემატიკა - მიზანშეწონილია მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, შემოქმედებითი დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს*

		განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.
ინდიკატორი N 2.1.2..5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	**რჩევა: *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- დაწყებით საფეხურზე, მე-4 კლასის კურიკულუმს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, თუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ სამიზნე ცნებასთან მიმართებით (ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები) და უნდა წარმოაჩინოს ნამუშევრის წარდგენისას. ეს ფაქტობრივად განმავითარებელი შეფასების რუბრიკაა, თუმცა უკეთესი იქნება,*

		მასწავლებელმა კონკრეტულად დააფიქსიროს, რა მოლოდინი აქვს მოსწავლისგან, რას გააცნობიერებს, წარმოაჩენს, გაიაზრებს მოსწავლე სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენის სახით დავალების შესრულებისას საჭირო საკითხების შესწავლის დროს მოცემულ თემაში. ***რჩევა: უცხოური ენები*** *შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ს საგნობრივი მიზნები. შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.* ***რჩევა: სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვა რუბრიკებიც* ***რჩევა: მათემატიკა*** *- მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.* ***რჩევა: ტექნოლოგიები*** *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*

		გაწერილი იყოს კონკრეტული კომპლექსური დავალების პირობაზე, რომელიც დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***რჩევა - მათემატიკა*** *- მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. როგორც კურიკულუმებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***რჩევა- მათემატიკა*** *- კარგი იქნება, თუ მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო*

		ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- საკითხები და მის შესაბამისად დანარჩენი მოცემულობაც გასამიჯნია ერთმანეთისგან. კურიკულუმის ჩარჩო არ უნდა იყოს განსხვავებული ერთმანეთისგან - არც საგნის ფარგლებში და არც საგნებს შორის - შესაბამისად ყველა კლასისა და ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩო უნდა იყოს იდენტური. IX კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ჩაემატოს სავალდებულო თემები დანარჩენ მოცემულობასთან ერთად. ისტორიის კურიკულუმებში ქვეცნებების რაოდენობა შესამცირებელია და ასევე X კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში ჩასამატებელია საკითხთა კლასტერები დანარჩენი კლასის კურიკულუმების მსგავსად.* *რჩევა- მათემატიკა - მიზანშეწონილია მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, შემოქმედებითი დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია*

		ინტერდისციპლინური საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.
ინდიკატორი N 2.1.2..4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***რჩევა: სახელმწიფო ენა*** *- კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.*
ინდიკატორი N 2.1.2..5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***რჩევა: უცხოური ენები*** *შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ს საგნობრივი მიზნები. შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.* ***რჩევა: სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვა რუბრიკებიც სამივე საფეხურზე.* ***რჩევა: მათემატიკა*** *- მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ*

		მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***რჩევა- მათემატიკა*** *- კარგი იქნება, თუ მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***რჩევა:*** *- მათემატიკა - მიზანშეწონილია მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, შემოქმედებითი დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი*

		შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***რჩევა: სახელმწიფო ენა -*** *ამ კუთხით შესავსებია XI კლასის კურიკულუმი, რომლშიც მითითებულია მხოლოდ ძირითადი რესურსი- სახელმძღვანელო. კარგი იქნება, თუ კათედრა იმუშავებს ამ კლასშიც რესურსების გამრავალფეროვნებაზე და შეიტანს დამატებით რესურსებს კურიკულუმში.*
ინდიკატორი N 2.1.2..4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***რჩევა: სახელმწიფო ენა*** *- კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების*

		ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.
ინდიკატორი N 2.1.2..5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***რჩევა: უცხოური ენები*** *შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ს საგნობრივი მიზნები. შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.* ***რჩევა: სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვა რუბრიკებიც სამივე საფეხურზე.* ***რჩევა: მათემატიკა*** *- მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას გამოაგზავნა რიგ ინდიკატორებთან მიმართებით მტკიცებულებები და ასევე, შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაბამისად შეიცვალა შეფასებებიც. ინდიკატორი 3.1.2.3. წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია ორიენტირებულია ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, უსაფრთხო, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მათი თვითრეალიზაციის ხელშეწყობას. ხედვა მიმართულია ხარისხიანი განათლების დანერგვისა და მაღალი ნდობის მქონე საგანმანათლებლო კერის ჩამოყალიბებისკენ. აღნიშნული სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რაც გულისხმობს თავისუფალი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და კონკურენტუნარიანი პიროვნების აღზრდას.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის დოკუმენტაციაში ხაზგასმულია სკოლის როლი, როგორც უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს გარანტი. სკოლის ფილოსოფიაში ღირებულებებად დეკლარირებულია უსაფრთხოება, ხარისხიანი განათლება და თანამედროვე მიდგომების დანერგვა. სკოლა 2032 წლისთვის საკუთარ თავს ხედავს აჭარის მასშტაბით აღიარებულ ცოდნის კერად, რომელიც ზრუნავს მოსწავლის ინტელექტუალურ, ფიზიკურ და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაზე როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების გზით.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლას გააზრებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი (ბრძანება №01-02/34, 10 სექტემბერი 2025 წ.) , ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. ჩართულობა დასტურდება კითხვარებით, სამუშაო ჯგუფის ოქმებით, სადაც გაანალიზებულია მიღებული უკუკავშირი. პროცესში გამოყენებული იყო კითხვარები მშობლებისთვის, მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო მათი მოსაზრებები სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტის გაცნობის მიზნით ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა რგოლთან. VII-XII კლასების მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომაზე (25.09.2025) წარმოდგენილ დოკუმენტი განიხილეს და მხარი დაუჭირეს დამსწრეებმა. ასევე წარმოდგენილია პედაგოგებთან შეხვედრის ოქმი, სადაც განხილულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი. საბოლოოდ, მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი №2, 2025 წ.), სადაც იცდახუთმა წევრმა ერთხმად დააფიქსირა თანხმობა.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (მუხლი 12) განსაზღვრავს ფილოსოფიის საჯაროობის მექანიზმებს: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და სკოლის საინფორმაციო დაფა. სკოლის ფილოსოფია განთავსებული ვებგვერდზე, სკოლის ფოიეში. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით და ვებგვერდის დათვალიერებით.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ “ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448

ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდება - „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა“ - შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს. საჯარო რეესტრის ამონაწერში სკოლის დასახელებაა - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა, 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად სკოლის დასახელებაა - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა. დაწესებულებას მიეცა რჩევა განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სკოლის მართებული სახელწოდების შესაბამისად.
ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება N- 01-02/33; შესასწორებელია ქედქედა.*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებაN- 01-02/34;*
- *VII-XII კლასების თვითმმართველობის ოქმი;*
- *მასწავლებელთათვის სკოლის ფილოსოფიის და სტარტეგიული გეგმების გაცნობის ოქმი;*
- *სკოლის ფილოსოფიის დამტკიცების ბრზანება;*
- *პედსაბჭოს ოქმი 2*
- *ფილოსოფიის და სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;*
- *ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი;*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული *(2025 წლის 10 სექტემბრის ბრძანება N- 01-02/33)* აქვს „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს სკოლის განვითარების ციკლის მართვისთვის. მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გამოკვეთის პროცედურებს. დოკუმენტში გაწერილია დაგეგმვის ეტაპები: ინფორმაციის შეგროვება და კვლევა; სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირება; ანალიზი (SWOT). მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მეთოდოლოგია არ არის მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი. სამუშაო ჯგუფის ოქმები მოწმობს, რომ სტრატეგიული მიზნების დასახვისას გათვალისწინებულ იქნა კითხვარების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები, როგორიცაა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. მეთოდოლოგია განსაზღვრავს შემუშავებული პროექტების საჯარო განხილვისა და ვალიდაციის მექანიზმებს, არის ლოგიკურად სტრუქტურირებული და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვეთისა და ასახვის ქმედით მექანიზმებს.
ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარება თანხვედრაშია დაწესებულების ფილოსოფიასთან. სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032 წწ.), რაც შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ პერიოდს. დოკუმენტი სტრუქტურირებულია ლოგიკური ჯაჭვით: მისია, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები. გეგმაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი პერიოდიზაცია (წლების მიხედვით), რაც მიუთითებს დაგეგმვის ციკლურობაზე და გრძელვადიან ხედვაზე. სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, მაგალითად: „ინოვაციური და

უსაფრთხო სასწავლო გარემოს დანერგვა“ - რეალიზებულია სტრატეგიულ მიზანში, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებას. სტრატეგიულ გეგმაში მოცემული თითოეული მიზანი ჩაშლილია კონკრეტულ, გაზომვად ამოცანებად, რომლებიც მიმართულია კონკრეტული შედეგებისკენ, რაც უზრუნველყოფს მიზნის მიღწევადობას. მაგალითად, სწავლის ხარისხის ამაღლების მიზანი მოიცავს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა კურიკულუმების რევიზია, სასკოლო პროექტების რაოდენობრივი ზრდა და სხვ. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს რეალისტურ, ფილოსოფიასთან თავსებად და შედეგზე ორიენტირებულ დოკუმენტს. სტრატეგიული გეგმა განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N2, 2025 წ.) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დოკუმენტაციის პირველადი შესწავლისას გამოიკვეთა შეუსაბამობა ინდიკატორის მოთხოვნებთან, კერძოდ - 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის - სახელწოდებით წარმოდგენილი დოკუმენტი შინაარსობრივად წარმოადგენდა სასკოლო სასწავლო გეგმას და მასში არ იყო ასახული სკოლის, როგორც ორგანიზაციის, განვითარებაზე ორიენტირებული ის აქტივობები, რომლებიც შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდშივე აღმოფხვრა და წარმოადგინა განახლებული, სტრატეგიულ მიზნებთან თავსებადი 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ლოგიკურად გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო კომპონენტს. გეგმაში გაწერილი აქტივობები თანხვედრაშია სკოლის მისიასთან და ასახავს სტრატეგიულ პრიორიტეტებს. დოკუმენტაციის დეტალური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამოქმედო გეგმის ხარისხობრივი დახვეწის საჭიროება. კერძოდ, რიგ

შემთხვევებში აქტივობები (მაგ., ექსკურსია) წარმოდგენილია ამოცანის სტატუსით, რაც ართულებს დაგეგმვის ლოგიკურ სტრუქტურას. მიზანშეწონილია, ამოცანები ფორმულირდეს შედეგზე ორიენტირებული პროცესების სახით (მაგ., არაფორმალური განათლების გზით მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარება), ხოლო შესაბამისი აქტივობები განისაზღვროს როგორც აღნიშნული შედეგების მისაღწევი კონკრეტული ნაბიჯები (მაგ., ექსკურსია, თეატრალური წარმოდგენა). ამასთან, რესურსების მართვის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით, საჭიროა პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების უფრო მკაფიო და დეტალიზებული განსაზღვრა, აგრეთვე თითოეული აქტივობისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების კონკრეტიზაცია „არსებული რესურსის“ ზოგადი მითითების ნაცვლად. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება N- 01-02/33;*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებაN- 01-02/34;*
- *ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი*
- *ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2025 სასწავლო წელი.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია - „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, „ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება“ და დირექტორის 2026 წლის

13 მარტის N 01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დაზუსტებული მექანიზმები“ - ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგის პროცესი მკაფიოდ არის სტრუქტურირებული. მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგის სისტემურ პროცესებს, პერიოდულობას, გამოყენებულ ინსტრუმენტებს და შესრულების სტატუსების მინიჭების წესს, რაც ქმნის გეგმების განხორციელების თანმიმდევრულ ჩარჩოს. წარმოდგენილი მექანიზმები მოიცავს როგორც გაკვეთილზე დაკვირვებას ისე სასწავლო დოკუმენტაციის კონტროლს, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მიმდინარე პროცესების კონტროლს, არამედ მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების გამოვლენას, დროულ რეაგირებასა და გეგმების კორექტირებას. მონიტორინგის პროცესში გამოყენებული ობიექტური ინსტრუმენტები დაკვირვების ჩეკლისტები, რუბრიკები და კითხვარები - ქმნის საფუძველს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის,

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ჩარჩო მკაფიოდ განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებასა და უკუკავშირის მექანიზმებს. პრაქტიკული მტკიცებულებების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს კვლევის ინსტრუმენტებს (კითხვარებს) სასკოლო საზოგადოების - მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების მოსაზრებების შესასწავლად. აღნიშნული მონაცემები, მეთოდოლოგიის შესაბამისად, წარმოადგენს მონიტორინგის პროცესის განუყოფელ ნაწილს და წარმოადგენს საფუძველს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემდგომ კორექტირებისათვის. მონიტორინგის სისტემა, როგორც ფუნქციური მექანიზმი, დაწესებულებაში არსებობს, არის გამართული და პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ჩარჩო და „მონიტორინგისა და შეფასების წესი“ მკაფიოდ განსაზღვრავს ანგარიშგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის სტანდარტებს. დოკუმენტური ანალიზით დასტურდება, რომ

სკოლას ჩამოყალიბებული აქვს შედეგების გაზიარების კონკრეტული არხები (ვებგვერდი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა). სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში, გამჭვირვალობა დეკლარირებულია, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულება, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების ანგარიშვალდებულებას დაინტერესებული მხარეების წინაშე. ვინაიდან სტრატეგიული მართვის ახალი ციკლი 2025-2026 წელს დაიწყო, მოცემულ ეტაპზე სამოქმედო გეგმის შესრულების დასრულებული ანგარიშის არარსებობა ობიექტური მოცემულობაა. მიუხედავად ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ანგარიშგების მზა ფორმები, განსაზღვრული აქვს წარდგენის პერიოდულობა და სამიზნე აუდიტორია (სამეურვეო საბჭო, მშობლები). შესაბამისად, საჯაროობის უზრუნველყოფის სისტემა ინსტიტუციურ დონეზე გამართულია.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებული.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს მონაცემებზე დაფუძნებული მართვის პრინციპი, რაც გულისხმობს მონიტორინგის შედეგების გამოყენებას ახალი აქტივობების დასაგეგმად. სამუშაო ჯგუფმა მონიტორინგის ანგარიშების საფუძველზე უნდა მოამზადოს რეკომენდაციები და ინიცირების წერილები გეგმებში ცვლილებების შესატანად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების რეალურ ასახვას სკოლის პრაქტიკულ საქმიანობაზე. ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა: მეთოდოლოგიური მზაობა (როგორ აპირებს შედეგების გამოყენებას) და SWOT ანალიზი (როგორ გამოიყენა კვლევა გეგმის შესაქმნელად). სკოლას გააჩნია ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გამოყენებას დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება N- 01-02/33;*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებაN- 01-02/34;*

- *ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი;*
- *ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დაზუსტებული მექანიზმები;*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ წარმოადინა სკოლის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ადმინისტრატორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 2 ცეცხლფარეში და 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტი. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია "სკოლის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების" დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მათი ფუნქციები. სამუშაო აღწერილობები და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს დამტკიცებული კათედრის და დამრიგებლის მუშაობის დებულება.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტითა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სასკოლო სასწავლო და სკოლის სამოქმედო გეგმების შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/ პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები დამყარებულია ჯანსაღ, შედეგზე ორიენტირებულ ურთიერთობებზე.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება;*
- *სკოლის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები;*
- *კათედრის დებულება;*
- *შრომითი ხელშეკრულებები.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის

პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით. ზემოთხსენებული შიდანორმატიული აქტები მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია.

რჩევა: ვინაიდან სკოლას 2 სხვადასხვა სოფელში აქვს სასწავლო კორპუსი, ხოლო სკოლას მხოლოდ 2 დარაჯის საშტატო ერთეული აქვს დამტკიცებული, სასურველია გაზარდოს დარაჯების რაოდენობა, რათა შეძლოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასვენების ხანგრძლივობის დაცვა ცვლებს შორის და ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები სირთულეების პრევენციის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების სისტემა ეფუძნება ზდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა; აქტიური მონაწილეობის წახალისება; გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. შეფასება მოიაზრება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების წესი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების და მათზე სახდელის დაკისრების წესები და პირობები. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი აქტივობები.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაწესებულების მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. საკონკურსო განაცხადი თავსდება საჯაროს სკოლის სივრცეში და ასევე - ელექტრონულ პლატფორმაზე https://teacherjobs.ge/. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც, ასევე, გათვალისწინებულია მოწვეული პირები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას.

მასწავლებლებთან გაფორმებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი). 2020 წლის შემდეგ მიღებული სკოლის ექთნის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სკოლის ექთანზე 2026 წლის 2 აპრილს გაცემული ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიჩნია რელევანტურად და აღნიშნული ინდიკატორი შეუსაბამოდან გადაიტანა სრულ შესაბამისობაში.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დამლაგებელი, დარაჯი და ცეცხლფარეში. სკოლაში სულ 25 მასწავლებლია, მათ შორის 5 პედაგოგი წამყვანის სტატუსის მქონეა. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლას ვაკანტური ჰქონდა სპეციალური მასწავლებლის პოზიცია. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას. პედაგოგების კვალიფიკაცია ძირითადად დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: დიპლომი, სერტიფიკატები. თუმცა, სკოლის სპორტის ერთ და დაწყებითი კლასების ერთ პედაგოგს, არ უდასტურდებათ კვალიფიკაცია. ასევე, სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირი ასწავლის საგანს "მუსიკა", დაწყებითი 1-4 კლასების მასწავლებლები კი საგნებს: "მე და საზოგადოება", "ისტ" და "სპორტი". წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენჯერმე გამოაცხადა კონკურსი სპორტის და მუსიკის მასწავლებლის ვაკანტური ადგილების შესავსებად, რომელშიც მონაწილეობა არ მიიღო სასურველმა კანდიდატურებმა, არც მაძიებლობის მსურველმა პირებმა.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სპორტის, მუსიკის, მე და საზოგადოების, ისტ და ერთი დაწყებით კლასების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, კანონმდებლობის შესაბამისად საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე. 12 თვემდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს საგნების: სპორტი, მუსიკა, მე და საზოგადოება, ისტ და დაწყებით კლასების კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში მართვის პოლტიკა და ორგნიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა მიღების პროცედურებით, კონკურსის პირობებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიების მუშაობით, წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილი სამუშაო ჯგუფებით, სკოლაში შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიებში აღწერილი თანამშრომლობითი პროცესებით. გუნდურად მუშაობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობენ კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. აღნიშნული დოკუმენტის 21-ე მუხლში „თანამშრომელთა მოტივაცია“ გაწერილია მასწავლებელთა წახალისების მატერიალური და არამატერიალური ფორმები, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში მოცემულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის დებულების თანახმად, მათი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ. 01-02/22. 27.03.2027;*
- *დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ბრძ. 01-02/3 16.01.2026;*
- *შინაგანაწესი;*

- *კათედრის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ხელშეწყობა.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები. დოკუმენტი ითვალისწინებს პროცესის უწყვეტობას. საჭიროებები შესაძლოა გამოიკვეთოს კვლევის შედეგად ან პერსონალის ზეპირი მიმართვის საფუძველზე. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშემწყობი ამოცანები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მისი შესაბამისი აქტივობები. ვიზიტის დროს დირექტორმა წარმოგვიდგინა მანდატურის სამსახურთან გაგზავნილი წერილი შესაბამისი კადრის გადამზადების მხარდაჭერის მიზნით. სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი, რომ თანამშრომელთა კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოებაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის ეტაპები: მოლოდინები, შეხვედრა, „ოჯახის წევრობა“, მისი საკომუნიკაციო ჯგუფებში დამატება, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების და სკოლის კულტურის გაცნობა.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის წახალისების ფორმები და წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლა ყოველთვის უჭერს მხარს მასწავლებელთა ინიციატივებს და ეხმარება განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ბრძ. 01-02/3 16.01.2026;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ. 01-02/22. 27.03.2027;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032;*

- *ერთლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმი.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებულია და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში განცხადებებისა და საჩივრის წარდგენის წესსა და ვადებს. დისციპლინური წარმოების წესს, კონკურსის შედეგების გასაჩივრებას და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი და სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დაწესებულებამ, წარმოადგინა „მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები და სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს. იგი ასევე პასუხისმგებელია დირექტორს მიაწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საპრევენციო ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძ. #01-02/23 27.03.2026;*
- *სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი ბრძ. #01-02/34[3] 10.09.2025;*
- *მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა ბრძ. #01-02/31[1] 09.09.2025;*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები, რისთვისაც დაწესებულებაში არსებობს საქმისწარმოების წესი და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. აღნიშნული წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. სკოლა ინფორმაციის მიწოდებისთვის იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ჯგუფში შექმნილ დახურულ ჯგუფებს, სატელეფონო კომუნიკაციას. ინფორმაცია სასკოლო სიახლეებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ თავსდება სკოლაში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა სუბიექტის - მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი N 01 -02/30². 09.09.2025*
- *www.skolebi.emis.ge*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების საფუძველზე და სკოლაში უზრუნველყოფს სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით

განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლას აქვს ორ სხვადასხვა მისამართზე არსებული სასწავლო კორპუსები. ორივე შენობის ტერიტორია შემოღობილია. სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში არსებული სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობს ამორტიზებული შენობა ე.წოდებული „მასწავლებლის სახლი“ და გარე საპირფარეშო, რომელიც ვიზიტის ეტაპისთვის, სასწავლო დროს მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას გამიჯნული ჰქონდა ხელოვნურად მოწყობილი ბარიერით.

სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე საავარიო გასასვლელი. სკოლას არ ემსახურება მანდატური. სკოლის შენობების შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია არასაკმარისი ვიდეო სათვალთვალო კამერით. ვიზიტის პერიოდში სკოლას დაწყებული ჰქონდა ბაზრის კვლევა დამატებითი ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შესაძენად. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა პროცესები, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის არცერთი შენობისთვის არ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების (ხელვაჩაურის რაიონის ქვედა და ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე არსებული სკოლის შენობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

ვინაიდან, სკოლის შენობები არ არის აღჭურვილი საკმარისი ოდენობის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, სკოლის სასწავლო შენობებისთვის არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და არ არის დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას.

დაწესებულებამ თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად რამდენიმე ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს 2027 წლის 9 იანვრამდე, მაგრამ ვინაიდან არ არის გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა არ გაიზიარა.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა შეუსაბამობა შენობის ფაქტობრივ დაგეგმარებასა და არსებულ აზომვით ნახაზს შორის, რაც საჭიროებს დოკუმენტაციის კორექტირებას. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია** განახლდეს ზედა ჩხუტუნეთის სკოლის შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება შენობის არსებულ კონფიგურაციასთან.

რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 2026 წლის 6 აპრილს საქართველოს შინაგანა საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული კორესპოდენცია, რითაც დასტურდება, რომ სკოლის ორივე შენობისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიჩნია რელევანტურად.

ასევე, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სათანადო ოდენობის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამატებას სკოლის ორივე შენობისთვის და შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვებას 2026 წლის აპრილიდან 2027 წლის აპრილამდე, 12 თვის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს სათანადო ოდენობის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამატება სკოლის ორივე შენობის შიდა და გარე პერიმეტრისთვის და შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვება.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა ერთი შენობისთვის უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც სკოლაში პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც ვიზიტის პერიოდში სრულად იყო აღჭურვილი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს პირველადი დახმარების შესაბამისი აღჭურვილობა სკოლის მეორე შენობისთვის, რომელიც მდებარეობს სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. ასევე, სკოლის საშტატო განრიგით არ არის განსაზღვრული სკოლის ექიმის/ექთნის მეორე საშტატო ერთეული ან პირველადი/გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში, მომზადებული/გადამზადებული პერსონალი, რომელიც საჭირო მომსახურებას გაწევს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოცხადებამდე.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სოფელ ზემო ჩხუტუნეთის შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთის შეძენას, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით ექთნს საშტატო ერთეულის განსაზღვრას და შესაბამისი კადრის დასაქმებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და მოახდინოს სოფელ ზემო ჩხუტუნეთში მდებარე სკოლის სასწავლო კორპუსისთვის სკოლის ექიმის/ექთნის დასაქმება ან პირველადი/გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში, მომზადებული/გადამზადებული პერსონალით უზრუნველყოფა.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დაწესებულების არც ერთი სასწავლო კორპუსს არ ემსახურება მანდატური. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ორივე შენობისთვის. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლის თანამშრომელთა ფუნქციების შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს კლასში წესრიგი და დისციპლინა და იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომლებიც ითვალისწინებს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმად დამრიგებელი ვალდებულია ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, ჩამოაყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს. სკოლის

შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის, საქართვგელოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს შენობის დასუფთავებას, რომლის კონტროლზე, კანონმდებლობის ფარგლებში პასუხისმგებელია სკოლის ექთანი. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. პერსონალის ფუნქციები გაწერილია ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში და მათ ხელშეკრულებებში. სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მდებარე სკოლის შენობაში, პირველ სართულზე მოწყობილია 3-3 სველი წერტილი ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე ერთი სველი წერტილი მამაკაცებისთვის, ერთი ქალბატონებისთვის, 1 ადაპტირებული სველი წერტილი. სულ 9 სველი წერტილი. სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში მდებარე სკოლის შენობაში, პირველ სართულზე მოწყობილია 2-2 სველი წერტილი ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე ერთი სველი წერტილი მამაკაცებისთვის, ერთი ქალბატონებისთვის. სასწავლო შენობებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. სკოლის ორივე შენობას მიეწოდება სუფთა წყალი.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც სკოლას დაენიშნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. დოკუმენტი ითვალისწინებს მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს, დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს შემოსული და გასული დოკუმენტების, ოქმების, ბრძანებების დამუშავების, დამუშავებული მონაცემების გამოყენების, დაცვისა და მონიტორინგის მიზნებს.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები გამოიყენება რეაგირების მექანიზმების გასაუმჯობესებლად. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. სკოლის დირექტორი მრჩეველთა საბჭოს ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ბრძანება N 01-02/32[2] 09/09/2025*
- *მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების (ხელვაჩაურის რაიონის ქვედა და ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. #26143 15/01/2026 და #310438 13/03/2026.*
- *ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია ბრძანება N 01-02/37[2]*
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები ბრძანება N 01-02/37[1]*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები ბრძანება N 01-02/31[3]*
- *პერსონალურ მონაცემების დაცვის წესი ბრძანება N 01-02/29[2]*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სარგებლობს 5697.00 კვ.მ. ფართობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში მე-5 ქუჩის II ჩიხში, რომელზეც განთავსებულია 6 შენობა. აქედან, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 1 კორპუსში, საკადასტრო კოდი: 22.33.07.025. ხოლო 3171 კვ.მ. ფართს, მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა 574 კვ.მ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მე -3 ქუჩა #18 ში, საკადასტრო კოდი: 22.33.06.037. სკოლის ფართი (საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა, სააქტო და სპორტული დარბაზები) იძლევა საშუალებას, მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჯეროვნად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, შესვენებებზე კი სრულფასოვნად დაისვენონ. მერხები და სკამები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია, ყველა კლასში არის დაფა. სკოლა ფლობს და იყენებს 30 ახალ პერსონალურ კომპიუტერს. 2 ქსეროქსს, 5 პრინტერს, 2 პროექტორს, 1 ჭკვიან დაფას და ხმის გამაძლიერებელს. ქვედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი, არაკეთილმოწყობილი გოგონათა და ვაჟთა გასახდელი და ინვენტარის შესანახი სივრცე. ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე მდებარე სკოლის შენობას აქვს ღია სპორტული მოედანი და დახურული მცირე სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებულია ტენისის მაგიდა. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სპორტული აქტივობებისთვის საკმარისი რესურსით არის სკოლა უზრუნველყოფილი. ესენია: ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის ბურთები, ლახტები, ფარები და სხვა. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთვის (ცალ-ცალკე ფიზიკა, ქიმია,

ბიოლოგიის) მოძველებული ინვენტარი განთავსებულია ცალ ცალკე საცავებში სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში მდებარე სკოლის შენობაში. დაწესებულებამ გამოყო ოთახი, სადაც მოაწყო სველი წერტილი, და რომელსაც გამოიყენებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ინვენტარის, კომპიუტერულ კლასისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობა ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალიზაციისათვის ეფექტურ პირობებს ქმნის. გარდა ბიბლიოთეკისა, რესურს ოთახისა, სააქტო და სპორტული დარბაზებისა/მოედნისა, სარეკრეაციო ზონებიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ქვედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე არსებულ სკოლის შენობაში, სადაც სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე. სივრცე მყუდრო და გამოყენებისთვის სათანადოა. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული (5341 ერთეული) და შემეცნებითი ლიტერატურა. ბიბლიოთეკარს აღრიცხული აქვს თითოეული წიგნი როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, დამოწმებული აქვს ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის კორპუსში, რომელიც მდებარეობს სოფელ ზედა ჩხუტუნეთში და სადაც სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის. შენობა ერთი მხრიდან ერთსართულიანია, შესასვლელში არის პანდუსი, დერეფანში განთავსებულია ვიზუალური მანიშნებლები, ხოლო მეორე მხრიდან არის ჩასასვლელი, ასევე პანდუსი, რომლითაც შესაძლებელია იმ ოთახში მოხვედრა, სადაც მდებარეობს ტენისის მაგიდა. შენობაში არის მოწყობილი რესურს ოთახი. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი

სკოლის კორპუსში, რომელიც მდებარეობს სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში და სადაც სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე სასკოლო გარემო არ არის სრულად ადაპტირებული. საერთო სარგებლობის სივრცეები მდებარეობს შენობის ორივე სართულზე. სპორტული დარბაზი კი მდებარეობს ნახევრად სარდაფული ტიპის სართულზე. აღნიშნულ შენობაში არ არის ლიფტი ან მოძრავი პანდუსი. არ არის რესურს ოთახი. არ არის მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი.

ხარვეზი: სკოლის შენობაში, სადაც სწავლება მიმდინარეობს სამივე საფეხურზე, ინფრასტრუქტურა არ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, არ არის ადაპტირებული სველი წერტილი, ლიფტი ან მოძრავი პანდუსი, რაც შშმ პირს სკოლის შენობის შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას მისცემდა.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, ქვემო ჩხუტუნეთის მისამართზე მდებარე შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას და კიბეებზე გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის მონტაჟს გეგმავს 2028 წლის აპრილამდე, 24 თვემდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ნაწილობრივ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, (აპრილი,2026 - აპრილი, 2028) სწავლის ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით, უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის, ლიფტი ან მოძრავი პანდუსის მოწყობა სკოლის ქვემო ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო შენობაში.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ორივე შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული კლასი და სხვა თავისუფალი ოთახები ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ინვენტარიზაციის ოქმი 2025;*
- *სასწავლო რესურსით სარგებლობის წესი;*
- *სკოლის ბიბლიოთეკის დებულება ბრძ. 01-02/30³;*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას ინტერნეტი მიეწოდება დაბალი სიჩქარით. ინტერნეტით დაფარულია მხოლოდ კომპიუტერული კლასი, დირექციისა და ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები. კომპიუტერები განთავსებულია სკოლის დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ექთნისა და ბიბლიოთეკარის სამუშაო კაბინეტებში. სკოლის ორივე შენობაში მდებარე სამასწავლებლოში ასევე განთავსებულია კომპიუტერი, პროექტორი, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატები.

რჩევა: სასურველია, სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით სკოლამ უზრუნველყოს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა ორივე სასწავლო შენობაში, სკოლის მთელ ტერიტორიაზე.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებელია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის საერთო სივრცეების, მათ შორის კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი. სკოლის ორივე შენობაში მოწყობილია კომპიუტერული კლასი, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის საზიარო და სადაც გრაფიკის მიხედვით შეუძლიათ ისარგებლონ როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დღეებში. აქვე შესაძლებელია მასწავლებლებმა იმუშაონ და მოემზადონ გაკვეთილებისა თუ ღონისძიებისათვის. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია მორიგე მასწავლებელი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასწავლო რესურსით სარგებლობის წესი ბრძანება N 01 -02/3 4[1];*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები.

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებელია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყეებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი ბრძ. N 01 -02/38[1]. 03.10.2025*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge. მასზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა 2025-2032, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა, ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ; პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) მოცემულია პორტალზე ატვირთულ "მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში". სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განხორციელებული, შესაბამისად გასაჯაროებული.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მოქმედ ვებ გვერდზე ატვირთოს სკოლის შინაგანაწესი.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი N 01 -02/30². 09.09.2025*
- *www.skolebi.emis.ge*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. დაფინანსების წყაროები ასახულია ბიუჯეტში. წარმოდგენილი ბიუჯეტიდან ჩანს, რომ მასში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ძირთადი აქტივობები: ხელფასების და დანამატების, შენობის მოვლა პატრონობის, ტექნიკური საშუალებების შესყიდვისა და საკანცელარიო/საოფისე ხარჯები.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორი მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. რეკომენდაციების და შენიშვნების შემდეგ უკვე ხდება ბიუჯეტის დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2026 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N- 6;*
- *გრძანება N- 01-02/46 -სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის ქმედითი ინსტიტუციური მექანიზმი სპეციალური კომისიის სახით (ბრძანება №01-02/31[2]). აღნიშნული ორგანოს მრავალმხრივი შემადგენლობა (ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები) უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ობიექტურობასა და სასკოლო საზოგადოების მაღალ ჩართულობას. მოსწავლეთა სამართლებრივი მდგომარეობა და უფლებრივი გარანტიები დეტალურად არის რეგლამენტირებული სკოლის შინაგანაწესში (2025-2026 სასწავლო წწ.), რომელიც სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, „ბავშვის უფლებათა კოდექსსა“ და მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტაციით დასტურდება უფლებების დაცვის საკითხების სრული ფორმალიზება; კერძოდ, დისციპლინური წარმოების პროცედურების მკაფიო გამიჯვნა, გასაჩივრების მექანიზმების არსებობა და მოსწავლის ღირსების პატივისცემის ვალდებულება ქმნის მყარ გარანტიას თვითნებური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. სკოლის შიდა რეგულაციები ორიენტირებულია უსაფრთხო, ეთიკური და პოზიტიური სასწავლო გარემოს შენარჩუნებაზე, სადაც დაცულია მოსწავლის პერსონალური მონაცემები და გარანტირებულია მისი აზრის თავისუფალი გამოხატვა.

ინდიკატორია 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დაწესებულებაში მოქმედებს „საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი“ (ბრძანება №01-02/36[2]), რომელიც დეტალურად და კანონშესაბამისად განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპებს, განხილვის ვადებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს. სკოლის შინაგანაწესით (მუხლი 1) რეგლამენტირებულია დოკუმენტის საჯაროობა და მისი გაცნობის ვალდებულება ყველა დაინტერესებული მხარისათვის, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას საკუთარი უფლებებისა და მათი რეალიზების გზების შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმები, როგორიცაა სამართლებრივი აქტების თვალსაჩინო ადგილას განთავსება, სკოლის ვებგვერდზე/სოციალურ პლატფორმებზე გამოქვეყნება და დამრიგებელთა მიერ მხარეების დროული ინფორმირება, ქმნის სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების მყარ გარანტიას. საჩივრების განხილვის მკაფიო და გამჭვირვალე სისტემის არსებობა ადასტურებს სკოლის ორიენტირებულობას დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დაცვასა და ეთიკური მართვის პრინციპებზე. აღნიშნული გარემოებები დასტურდება

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) ჩატარებული გასაუბრებით, რაც მიუთითებს ადმინისტრაციული პროცესების მიმართ მაღალ ნდობაზე.

ინდიკატორია 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი შესწავლისას გამოიკვეთა შეუსაბამობა ინდიკატორის მოთხოვნებთან. კერძოდ, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტი - „ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოების დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ (დანართი №70) - თავისი შინაარსით არ ფარავდა ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვინაიდან არეგულირებდა მხოლოდ მატერიალური რესურსით სარგებლობის საკითხს და არ მოიცავდა საგანმანათლებლო მომსახურებისთვის არსებით კომპონენტებს, მათ შორის მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო გარემოს პირობებს. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება. წარმოდგენილი დოკუმენტი არის მკაფიო, გამჭვირვალე, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ სისწორესა და ურთიერთობის რეგულირების ეფექტიანობას.

ინდიკატორია 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები ბრძანება N01-02/31[2] საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი ბრძანება N-01-02/36[2] შინაგანაწესი 2025;*
- *სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;*
- *მშობელთა კრების ოქმი.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩსკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში დამტკიცებული დოკუმენტი (ბრძანება N 01-02/12) ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და შესაბამის ნორმატიულ აქტებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების სამართლებრივ სისწორეს და რეგულირების ერთიან ჩარჩოსთან შესაბამისობას. დოკუმენტის ანალიზი ადასტურებს, რომ მოსწავლის სასკოლო ცხოვრების ყველა საკვანძო ეტაპი - ჩარიცხვიდან სტატუსის შეწყვეტამდე - გაწერილია სისტემურად, თანმიმდევრულად და დეტალიზებულად. თითოეული პროცედურა განსაზღვრავს საფუძვლებს, პირობებსა და ეტაპებს, რაც უზრუნველყოფს მის პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას. ამასთან, უზრუნველყოფილია პროცესების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება: გაწერილია მკაფიო პროცედურული ჯაჭვი, რაც ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. დადგენილია გასაჩივრების მექანიზმებიც, რაც დამატებით უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. დოკუმენტში ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები და ერთეულები (ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი), რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტიან მართვასა და კოორდინაციას. აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებული პროცესების მართვის გამართული, გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ეფექტიან განხორციელებას პრაქტიკაში.

ინდიკატორია 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: მოსწავლის ჩარიცხვის (ბრძანება №01-08/2) და საშუალო საფეხურის დაძლევის (ბრძანება №01-02/12) შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტები, ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკაში ეფექტურად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობისა და აკადემიური შედეგების სამართლებრივ რეგლამენტირებას. ბრძანებები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მუხლების მითითებით, რაც

მიუთითებს ადმინისტრაციული პროცესის ვალიდურობასა და გამჭვირვალობაზე. აღსანიშნავია, რომ მცირეკონტიგენტიანი სკოლის სპეციფიკა დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომის მეთოდები (მაგ: სატელეფონო კომუნიკაცია მშობლებთან ვადებისა და პროცედურების შესახებ), რაც კიდევ უფრო აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას. შესაბამისად, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები სკოლაში არის მკაფიო, კანონშესაბამისი და ორიენტირებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

ინდიკატორია 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების, პროგრამებისა და შიდა პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაცია განთავსებულია მრავალარხიანად (საინფორმაციო სტენდი, Facebook გვერდი), რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყოვლისმომცველ ინფორმირებას. სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, არჩევითი საგნების შეთავაზებისა და დამატებითი მომსახურების (კლუბები, წრეები) შესახებ. სკოლას არ აქვს დადგენილი ფასიანი მომსახურება, რის შესახებაც საზოგადოება ინფორმირებულია. საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის შიდა პოლიტიკა, მათ შორის მოსწავლის ქცევის კოდექსი და ეთიკის ნორმები, რაც ხელს უწყობს მოსალოდნელი ქცევის სტანდარტების ერთიან აღქმასა და საერთო სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს, ხელს უწყობს მშობელთა და მოსწავლეთა ნდობის ფორმირებასა და მათ აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორია 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში სასკოლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია) სარგებლობის წესი ეფუძნება არადისკრიმინაციულობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს. მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, რაც მიუთითებს ინკლუზიური და დემოკრატიული გარემოს არსებობაზე. ინფორმაციის განახლებადობა და ვალიდურობა უზრუნველყოფილია მშობლებთან მუდმივი კომუნიკაციისა და სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო სტენდის მეშვეობით. აქტუალური განცხადებებისა და საკითხების დროული გაზიარება ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია გამჭვირვალე მართვასა და დაინტერესებული მხარეების მაღალ ინფორმირებულობაზე. აღნიშნული დასტურდება სკოლის ვიზუალური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით. მოცემული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორია 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი ბრძანება N 01-02/12;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ბრძანება მოსწავლეთა დონის დაძლევაზე;*
- *მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში დანერგილია ადაპტაციის სისტემა (ბრძანება N-01-02/32[1]), რომელიც ფარავს როგორც პირველკლასელებს, ისე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს. პროცესს კურირებს დამრიგებელი, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს გაცნობას, პედაგოგებთან კომუნიკაციას და წინასწარ ვიზიტებს. ადაპტაციის პროცესის ფორმალიზება (ბრძანებით დამტკიცებული წესი) მიუთითებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-ემოციურ მდგომარეობაზე სწავლის დაწყების ეტაპზე. წინასწარი ვიზიტების პრაქტიკა ამცირებს ბარიერებს ახალ გარემოსთან შეგუებაში და ხელს უწყობს სწავლისთვის მზადყოფნის ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მოსწავლეთა მხარდაჭერისა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის კუთხით.

ინდიკატორია 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს (ხასიათი, ოჯახური გამოცდილება) და იყენებს ჰოლისტურ მიდგომას, რაც გამოიხატება მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე, დღის რეჟიმის სწორ ორგანიზებაზე, აგრეთვე ინდივიდუალური ფაქტორების (მათ შორის, უფროსი და-ძმის გამოცდილების) გათვალისწინებით. მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მიერ მშობლებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები (ფიზიკური აქტივობის წახალისება, შედარებითი შეფასებისგან თავის შეკავება) მიმართულია სასკოლო გარემოს უსაფრთხოებისა და მოსწავლის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. მშობელთა ჩართულობა ადაპტაციის ეტაპზე აძლიერებს სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობას, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა სასკოლო მზაობაზე. აღნიშნული დასტურდება მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით. კერძოდ, ერთ-ერთმა მშობელმა გამოხატა მადლიერება სკოლის მიმართ განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის - სკოლაში გადმოიყვანა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე შვილი. მშობლის განცხადებით, ამ სკოლაში ბავშვი წარმატებით ინტეგრირებულია, გარემო მისთვის არის კეთილგანწყობილი, ხოლო უნარებსა და შედეგებში მნიშვნელოვანი წინსვლა სკოლის დამსახურებაა.

ინდიკატორია 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში მოქმედებს რემედიაციის (აკადემიური მხარდაჭერის) პროგრამა (ბრძანება N 01-02/34[2]). პროგრამის ფარგლებში მასწავლებლები და დამრიგებლები მუდმივად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, დაწყებით საფეხურზე კი გამოიყენება

კომენტარების ფორმები. რემედიაციის დებულების არსებობა ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მექანიზმი სწავლაში ჩამორჩენის პრევენციისთვის. უკუკავშირის სისტემა (კომენტარები) უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის შეფასებას დინამიკაში და მშობლის დროულ ინფორმირებულობას. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გაკვეთილებზე მოსწავლეებთან ინდივიდუალურად იმუშაონ და დროულად მოახდინონ რეაგირება აკადემიური განვითარების საჭიროებებზე. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმების არსებობისა და მათი ეფექტიანი განხორციელების კუთხით.

ინდიკატორია 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო სტენდზე. მობილობის მსურველ მოსწავლეთა მშობლებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სრულ ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო მხარდაჭერას. ადმინისტრაცია არა მხოლოდ ფორმალურად ასრულებს კანონის მოთხოვნას, არამედ აქტიურად ეხმარება მშობლებს პროცედურულ ნაწილში (გამშვებ და მიმღებ სკოლებთან მიმართებით). საინფორმაციო დაფის გამოყენება და მობილობის პროცესში კონსულტაციების გაწევა მიუთითებს სკოლის ადმინისტრაციის ღიაობასა და მშობელთა მხარდაჭერაზე ორიენტირებულ მიდგომაზე. აღნიშნული სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოსწავლეთა უფლებების დაცვის კუთხით.

ინდიკატორია 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა ითვალისწინებს როგორც ფორმალური (არჩევითი საგნები, მეორე უცხო ენა), ასევე არაფორმალური განათლების მნიშვნელობას სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები „აისი“ და „ნორჩი რეინჯერები“ (ბრძანება N-01-02/33[3]). კლუბების დებულებების არსებობა ადასტურებს ამ საქმიანობის მდგრადობასა და სისტემურობას. მოსწავლეებისთვის ორგანიზებულია სასწავლო ექსკურსიები, სპორტული აქტივობები, ლაშქრობები, ინტელექტუალური

თამაშები, განხორციელებულია პროექტები. სკოლა თანამშრომლობს ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ცენტრთან, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში. მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობები (გარემოსდაცვითი, სამოქალაქო) ხელს უწყობს მოსწავლეთა ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისა და სასწავლო პროცესში არაფორმალური განათლების ინტეგრირების კუთხით.

ინდიკატორია 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა იყენებს კითხვარებს დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მისაღებად. კითხვარებით ხდება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით მოსწავლეთა/მშობელთა აზრის კვლევა, რის საფუძველზეც სკოლა იღებს გადაწყვეტილებებს და ახორციელებს კორექტირებას პროექტებსა და აქტივობებში. ადგილზე ვიზიტისას დავათვალიერეთ დამრიგებლების პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა კითხვარები მოლოდინებთან დაკავშირებით. დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ხელახლა ჩატარდება გამოკითხვა, ხოლო მიღებული შედეგები აისახება მომავალი წლის სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (ბრძანება N-01-02/36[3]) და კითხვარების ანალიზი მიუთითებს, რომ სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე. მოსწავლის აზრის გათვალისწინება ზრდის მათ მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის დირექციამ გაითვალისწინა მათი ინიციატივა სკოლაში ცეკვის გაკვეთილებისათვის ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით, იზრუნა კვალიფიციური სათანადო კადრის მოძიებაზე, განრიგის შედგენასა და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმვის კუთხით. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს მოკლე საანგარიშო დოკუმენტაცია, რომელშიც აისახება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული კონკრეტული ცვლილებები. ეს ხელს შეუწყობს უკუკავშირის სისტემის კიდევ უფრო გამჭვირვალობას და მოსწავლეთა ჩართულობის გაძლიერებას.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;*
- *სამოქალაქო განათლების კლუბი- „აისი“ ეკო კლუბი -‘ნორჩი რეინჯერები“;*
- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი ბრძანება N-01-02/32[1];*

- *რემედიაციის დებულება ბრძანება N 01-02/34[2];*
- *შინაგანაწესი 2025;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი ბრძანება N 01-02/36[3] ;*
- *კლუბების დებულებები ბრძანება N- 01-02/33[3];*
- *კითხვარები ოქმი 1 - არჩევითი საგნის შესახებ;*
- *მეორე უცხო ენის არჩევის ოქმი;*
- *მშობელთა კრების ოქმი.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში დანერგილია პროფორიენტაციის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებზე. მომსახურება მოიცავს მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენას, პროფესიის არჩევაში დახმარებას და საინფორმაციო შეხვედრებს უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. პედაგოგიური საბჭოს ოქმით (N4, 15.01.2026) დასტურდება პროფორიენტაციის სისტემის ფორმალიზება. აღსანიშნავია, რომ სკოლა პროცესს განიხილავს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებად, არამედ მოსწავლის თვითგამორკვევის ხელშეწყობად. „ღია კარის დღეების“ დაგეგმვა და უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს მომსახურების პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის არსებობისა და მისი ეფექტიანი განხორციელების კუთხით.

ინდიკატორია 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებსა და მშობლებს ინფორმაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) სიახლეებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მეშვეობით,

ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც სადამრიგებლო საათის ფარგლებში აცნობენ მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს, ხოლო სანდოობა გარანტირებულია ოფიციალურ წყაროებთან (NAEC) კავშირით. სკოლის მიდგომა, რომ პროფესია უნდა შეირჩეს „ინტერესებისა და შესაძლებლობების“ და არა „პრიორიტეტულობის“ მიხედვით, მიუთითებს კონსულტირების მაღალ ხარისხსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოზე. მშობლების ჩართულობა ამ პროცესში ზრდის მიღებული გადაწყვეტილებების მდგრადობას. აღნიშნული დასტურდება გასაუბრებითაც - მე-12 კლასის მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ უკვე არჩეული აქვთ პროფესიები, რაც მეტყველებს პროფორიენტაციის სისტემის ეფექტიანობაზე. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მოსწავლეზე ორიენტირებული მხარდაჭერისა და ოჯახთან თანამშრომლობის კუთხით.

ინდიკატორია 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვისას ითვალისწინებს გაწეული მუშაობის შედეგებსა და უკუკავშირს. პედაგოგიური საბჭოს ოქმში ხაზგასმულია სისტემის დანერგვისა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობა. სკოლა აცნობიერებს, რომ პროფორიენტაცია დინამიური პროცესია და საჭიროებს მუდმივ კორექტირებას მოსწავლეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაგეგმილი თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან მიუთითებს განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიაზე. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების არსებობისა და უწყვეტი განვითარების პრინციპების დაცვის კუთხით.

ინდიკატორია 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პედსაბჭოს ოქმი 4;*
- *დამრიგებლების პორტფოლიო.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში არსებობს ინკლუზიური განათლების განხორციელების სისტემური მექანიზმი, რაც დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმითა და სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებით. სკოლაში ირიცხება 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე, რომელთათვისაც დამტკიცებულია მუშაობის სამართლებრივი ჩარჩო (ბრძანება N-01-02/35). აღნიშნული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ინკლუზიური განათლების რეგულირების წესთან". სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმი კომპლექსურია და ფარავს მოსწავლის იდენტიფიცირების, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების, სტატუსის მინიჭებისა და სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ინტეგრაციის ყველა ეტაპს. სამოქმედო გეგმის არსებობა და მასში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებები ადასტურებს, რომ ინკლუზიური პროცესი სკოლაში არის მართვადი, დაგეგმილი და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული დოკუმენტური შესწავლით, მათ შორის სსსმ მოსწავლეების პირადი საქმეების გაცნობით, დადგინდა, რომ: სსსმ მოსწავლეებისთვის საჭიროა გადაფასების პროცედურის ჩატარება კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და წესების შესაბამისად; აღნიშნულ საკითხზე სკოლას მიეცა რჩევა, იმოქმედოს მინისტრის N16/ნ ბრძანების შესაბამისად და დროულად უზრუნველყოს მოსწავლეთა საჭიროებების გადაფასება მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით.

ინდიკატორია 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისათვის ფორმირებულია ინდივიდუალური სასწავლო

გეგმის (ისგ) სამუშაო ჯგუფი (ბრძანებები N-01-02/35, 36, 37). ჯგუფების შემადგენლობა (დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები და მშობელი) უზრუნველყოფს გუნდური მუშაობის პრინციპის რეალიზებას. მშობელთა ჩართულობა ისგ-ის შემუშავების პროცესში ხელს უწყობს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, ხოლო სპეციალური და საგნის მასწავლებლების კოორდინირებული თანამშრომლობა სასწავლო მიზნების მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან ადაპტირებას ემსახურება. მოსწავლეთა ინდივიდუალური პროფილების ანალიზით იკვეთება, რომ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე, ორ მოსწავლეს ესაჭიროება მეტყველების თერაპევტის, ხოლო ერთს - ფსიქოლოგის მომსახურება. სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება ერთი ასისტენტი და არსებობს სპეციალური მასწავლებლის საშტატო ერთეული. დაწესებულების მიერ სპეციალური მასწავლებლის ვაკანსიაზე გამოცხადებული იყო კონკურსი, თუმცა კადრის დეფიციტის გამო იგი ჩაიშალა. სკოლა აგრძელებს ძალისხმევას კვალიფიციური კადრის მოსაზიდად. დაწესებულებისათვის გამოწვევას წარმოადგენს ისგ-ით განსაზღვრული სპეციფიკური სერვისების (ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი) სრული უზრუნველყოფა, ვინაიდან აღნიშნული პოზიციები სკოლის საშტატო განრიგში არ არის გათვალისწინებული. „ინკლუზიური განათლების რეგულირების წესის“ და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რჩევა - გადახედოს საშტატო პოლიტიკას, იმოქმედოს კანონის შესაბამისად, რათა სრულად იქნას დაკმაყოფილებული მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორია 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N-01-02/35[1];*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ ბრძანება N- 01-02/35.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში მოქმედი „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა ხორციელდება გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა და მომსახურების მიწოდება ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც დასტურდება სკოლაში არსებული დოკუმენტაციით (მოსწავლეთა სიები, მარშრუტები). სერვისის ხელმისაწვდომობა დადასტურებულია მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

ინდიკატორია 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო პროგრამას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა“. პროგრამის პირობები, მარშრუტები და კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სამინისტროს დადგენილ სტანდარტებს. სატრანსპორტო სერვისის პირობები ხელმისაწვდომია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წინასწარ ინფორმირებულობას.

ინდიკატორია 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს სატრანსპორტო სერვისის უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებულ მიწოდებას. ვინაიდან სკოლის მიერ მოწოდებული სატრანსპორტო სერვისი სრულად ექვემდებარება სამინისტროს მიერ დადგენილ სახელმწიფო პროგრამას, პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოების საერთო ნორმების მკაცრი დაცვით. სკოლა ახორციელებს ტრანსპორტირების პროცესის მუდმივ მონიტორინგს.

ინდიკატორია 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სატრანსპორტო ტაბელი;*
- *მოსწავლეთა სია.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N 01-02/29[1]). დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის ციკლურ ხასიათს და ითვალისწინებს უკუკავშირის მექანიზმებს. მეთოდოლოგია ავალდებულებს მასწავლებელს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გაუზიაროს მშობლებს და ეძებოს მათი ჩართულობის გზები. დოკუმენტი ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მექანიზმების არსებობის, აგრეთვე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N 01-02/29[1]), რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ციკლურ ხასიათს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია). ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვის საწყისი ეტაპის განხორციელება. მეთოდოლოგია ავალდებულებს მასწავლებელს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გაუზიაროს მშობლებს და ეძებოს მათი ჩართულობის გზები. დოკუმენტი ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია) აქტიურ ჩართულობას და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებას. სკოლა აგროვებს უკუკავშირს მშობლებისგან კითხვარების საშუალებით (დანართი 89), რაც მოიცავს მოსწავლეთა აკადემიურ პროგრესს, ინტერესებს, გამოწვევებსა და სწავლის მხარდაჭერის საჭიროებებს. სკოლაში შექმნილია მონაცემთა შეგროვების მექანიზმი, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს კურიკულუმის რევიზიისა და განახლების პროცესს მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ „ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების“ მექანიზმები, აგრეთვე კათედრის სხდომებზე კურიკულუმების განხილვის პრაქტიკა, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა აყალიბებს კურიკულუმების განვითარების კულტურას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის

მოთხოვნებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, განვითარების მექანიზმების არსებობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის წინაპირობების შექმნის კუთხით.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. კათედრის დებულება (დანართი 118) განსაზღვრავს კათედრის ფუნქციებს შორის სასწავლო პროგრამის შემუშავებას, საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირებასა და კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას. დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი N1 (11.09.2025) ადასტურებს, რომ კურიკულუმების შემუშავება განხორციელდა კათედრის სხდომაზე, სადაც მასწავლებლებმა ერთობლივად განიხილეს სანიმუშო კურიკულუმები და შეთანხმდნენ მათ მოდიფიცირებაზე მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 (10.09.2025) ადასტურებს, რომ კათედრების მიერ შეთანხმებული კურიკულუმის ჩარჩო დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს მიერ. მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის განვითარების პროცესში დასტურდება შევსებული კითხვარებით, რის საფუძველზეც სკოლა ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრის ოქმი ადასტურებს, რომ მასწავლებლები ერთობლივად ახდენენ საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას და ცვლიან გამოცდილებას, რაც კურიკულუმის კოლეგიალური შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბებაზე მიუთითებს. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის კუთხით.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კურიკულუმთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად (კათედრის ჯგუფები, სკოლის ვებგვერდი, Facebook-გვერდი), ასევე ფიზიკურად. ინფორმაციის გაზიარების მრავალარხიანი სისტემა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. თვითშეფასებაში მოყვანილი გაზიარების არხები ადასტურებს სკოლის ორიენტირებულობას გამჭვირვალე

მართვის პრინციპებზე. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენება უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ დროული წვდომა კურიკულუმთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. მშობლებისთვის კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობასა და ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. ეს მიდგომა აძლიერებს სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობას.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება N 01-02/29[1]*
- *კათედრის დებულება*
- *კითხვარები*
- *პედსაბჭოს ოქმი 2*
- *კათედრის ოქმი 1*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. კონკრეტულ თემაში კონკრეტული სასწავლო საკითხების შესწავლით სამიზნე ცნებების გააზრებისათვის შექმნილია და სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ჩანს, რომ

	ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. ორივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების იდეები. მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასწავლებლებთან შეხვედრისას მათი რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალებები შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. იგივე შეიძლება ითქვას დაწყებითი კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმების შესახებ. თუმცა 3 კლასის კურიკულუმში პირველ სვეტში დასაზუსტებელია სავალდებულო თემები (მე-3 კლასში ორი სავალდებულო თემაა (ჩემი ქვეყნის ბუნება და მზის სისტემა), სახელმძღვანელოს თავების დასახელება კი შეიძლება მიეთითოს პარაგრაფების ან საკითხების გვერდით. ასევე, 4 კლასის კურიკულუმის პირველ სვეტში დასაზუსტებელია სავალდებულო თემები (მე-4 კლასში ორი სავალდებულო თემაა (დედამიწა და ციკლური პროცესები ბუნებაში), სახელმძღვანელოს თავების დასახელება კი შეიძლება მიეთითოს პარაგრაფების ან საკითხების გვერდით. **რჩევა:**. 3 კლასის კურიკულუმში პირველ სვეტში დაზუსტდეს სავალდებულო თემები (მე-3 კლასში ორი სავალდებულო თემაა (ჩემი ქვეყნის ბუნება და მზის სისტემა), სახელმძღვანელოს თავების დასახელება კი შეიძლება მიეთითოს პარაგრაფების ან საკითხების გვერდით. ასევე, 4 კლასის კურიკულუმის პირველ სვეტში დაზუსტდეს სავალდებულო თემები (მე-4 კლასში ორი სავალდებულო თემაა (დედამიწა და ციკლური პროცესები ბუნებაში), სახელმძღვანელოს თავების დასახელება კი შეიძლება მიეთითოს პარაგრაფების ან საკითხების გვერდით. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის განცდას, მისცემს მათ ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	ინგლისურ და რუსულ ენებში შემუშავებული კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეზე უწყვეტი განვითარების პროცესზე და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დოკუმენტს. კურიკულუმები ყველა საფეხურზე ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თითოეული კლასის კურიკულუმში გათვალისწიებულია გრძელვადიანი მიზნები და მოცემული შუალედური მიზანები მორგებულია მოსწავლის ასაკობრივ მახასიათებელს და ხელს უწყობს მოსწავლის არა მარტო ცოდნის დაგროვებას ასევე მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), სამივე საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ე.ს.გ. მიხედვით). სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული

	პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის მრავალფეროვანი და ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს იმას რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით და მათში შესულია არაერთი შემოქმედებითი დავალება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურუკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის სწორად და შემოქმედებით დაგეგმვაზე, მათი განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** ***რჩევა***-*კარგი იქნება, თუ ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული*

	მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სამივე საფეხურზე აგებულია მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით და ხელს უწყობს მათ ფიზიკურ განვითარებას. ქმნის გარემოს, სადაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მოტორული უნარების დახვეწა ბუნებრივი და უწყვეტი პროცესია. კურიკულუმები შინაარსობრივად აერთიანებს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც სწავლების პროცესს მრავალმხრივსა და შედეგზე ორიენტირებულს ხდის. ამგვარი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების ხარისხს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გარდა ბუნებისმეტყველებისა. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, პედაგოგებმა გასაუბრებაზე დაგვიდასტურეს აღნიშნული. **რჩევა:** ბუნებისმეტყველებაში 1-4 კლასის კურიკულუმში სასწავლო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. ასევე დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია.**

1. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. წარმოდგენილია საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ

	ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. **ინდიკატორის მოთხოვნები სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იმგვარადაა შექმნილი, რომ ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები - რომლებშიც დაგეგმილია შემოქმედებითი ხასიათის დავალება, ასევე მითითებულია გამოყენებული რესურსებიც, ყველაფერი ეს კი ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა არის საკითები რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას: • **მე და საზოგადოება** - სამიზნე ცნებებთან არ არის მითითებული ქვეცნებები, ასევე საკითხები არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული შესაბამისად არც სხვა დანარჩენი მოცემულობაა გამიჯნული; • **გეოგრაფია** - IX კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის ფორმატი არეულია და თანაც ორი სავალდებულო თემა - სამხრეთ საქართველო და კავკასია აკლია. ასევე აღნიშნული კურიკულუმის ბოლოს მითითებული შემოქმედებითი დავალება „ჭიათურის მანგანუმის“ შესახებ - პირველ თემაში მუშავდება. XI კლასში დანარჩენებისგან განსხვავებული კურიკულუმის ფორმაა - გაუგებარია რატომ, ასევე საკითხები არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან. იგივე მდგომარეობაა XII კლასის კურიკულუმშიც.

	• **მოქალაქეობა** - საკითხები და მის შესაბამისად დანარჩენი მოცემულობა არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან; • **ისტორია** - თითქმის ყველა კლასის კურიკულუმში არის საკითხთა კლასტერები გამოყოფილი და მხოლოდ მე-8 კლასის კურიკულუმში არ არის, ასევე ისტორიაში უამრავი ქვეცნებები არის გამოტანილი და საქართველოს ისტორიის X კლასის კურიკულუმში არცერთი. XI კლასის ისტორიის კურიკულუმიც ფორმით და შინაარსით განსხვავდება დანაჩენი კლასების ისტორიის კურიკულუმებისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას ვიზიტის დროს მიეცა რჩევები, რაც გათვალისწინებული და გაზიარებული იქნა მასწავლებლების მიერ და ნაწილობრივ ჩასწორებული კურიკულუმებიც გადმოგზავნეს. **რჩევა:** საკითხები და მის შესაბამისად დანარჩენი მოცემულობაც გასამიჯნია ერთმანეთისგან. კურიკულუმის ჩარჩო არ უნდა იყოს განსხვავებული ერთმანეთისგან - არც საგნის ფარგლებში და არც საგნებს შორის - შესაბამისად ყველა კლასისა და ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩო უნდა იყოს იდენტური. IX კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ჩაემატოს სავალდებულო თემები დანარჩენ მოცემულობასთან ერთად. ისტორიის კურიკულუმებში ქვეცნებების რაოდენობა შესამცირებელია და ასევე X კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში ჩასამატებელია საკითხთა კლასტერები დანარჩენი კლასის კურიკულუმების მსგავსად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში , ინგლისურ და რუსულ ენებში, მოცემული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები, შუალედური მიზნები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას რომ პროცესი იყოს ორიენტირებული სხვადასხვა ფუნქციურ უნარებზე როგორიცა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა.

	ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმი მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი). სამიზნე ცნებები, შუალედური მიზანი/მიზნები, საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური საასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი ყველა კურიკულუმი გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით, ეყრდნობა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ თემატიკასა და ტექსტებს. სამივე საფეხურზე შეტანილია ისეთი დავალებები, რომლებიც ემსახურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ამას ადასტურებს მათ მიერ გადმოგზავნილი არაერთი დავალების სრულყოფილი პირობები და ისიც, რომ ასევე გასაუბრების დროს პედაგოგებმა განიხილეს დავალებები, რომლებზეც იმუშავეს მათმა მოსწავლეებმა, აღწერეს დაწვრილებით დავალებებზე მუშაობის პროცესი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიმართულია და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია ***რჩევა***-*მიზანშეწონილია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, შემოქმედებითი დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს.*
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები აგებულიაეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს მასში განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. შემოქმედებითი აქტივობები, მათ შორის სპორტული ფესტივალები და სახალისო თამაშები,უზრუნველყოფს გამოცდილებაზე დაფუძნებულ და აქტიურად ჩართულ სასწავლო პროცესს.ასეთი მიდგომა ხელს უწყობს

	მოსწავლეებში თანამშრომლობითი მუშაობის, გუნდური პასუხისმგებლობისა და სოციალური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ I- IV კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით; **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია**

2. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებმა წარმოადგინეს ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით გაწერილი აქტივობები, რესურსები, მოსწავლის ნამუშევრები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი ატქივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსის გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში და რის შესახებაც მასწავლებლებმა აღნიშნეს პირისპირ შეხვედრის დროს. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც არაა სრულად გამართული, თუმცა მისი მოქმედი ნაწილი იძლევა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საშუალებას. გასაუბრებისას საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურრსაც, ასევე სკოლას აქვს კომპიუტერები და ხელმისაწვდომია ვირტუალური რესურსიც. **ინდიკატორის მოთხოვნები სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ძირითდად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. ასევე ონლაინ და სხვა მატერიალური რესურსებიც. (პოსტერები, ფლეშ ქარდები) რაც ხელს უწყობს, მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას და ცოდნის სიღრმისეულ ათვისებას.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ესტეტიკური აღზრდის საგნების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობაში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. **რჩევა:** ამ კუთხით შესავსებია XI კლასის კურიკულუმი, რომლშიც მითითებულია მხოლოდ ძირითადი რესურსი- სახელმძღვანელო. კარგი იქნება, თუ კათედრა იმუშავებს ამ კლასშიც რესურსების გამრავალფეროვნებაზე და შეიტანს დამატებით რესურსებს კურიკულუმში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმები შეიცავს საკმარისი რაოდენობის რესურსებს, როგორც ნაბეჭდ, ისე ელექტული სახით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ჩაშენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები (ჰიპერლინკები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, შერჩეული სპორტული მასალები და სხვ.), რომლებიც მიზნობრივადაა შერჩეული თითოეული თემისა და შესაბამისი სამიზნე ცნების დასამუშავებლად. აღნიშნული რესურსები სწავლის პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს და უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი https://school.emis.ge/, **https://scratch.mit.edu/**, Code.org, 3DPaint, Paint, ,,ვსწავლოთ თამაშით", PowerPoint, Word, Excel, და სხვა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის სარწმუნო საშუალებაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია.**

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზანი. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება შემოქმედებით დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდანაც, ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ კონკრეტული საჭიროების მოსწავლისათვის შესაბამისი, სათანადო აქტივობები და რესურსები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, გაწერილი აქტივობები, რესურსები, მოსწავლის ნამუშევრები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) შემუშავებითა და დანერგვით, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	წარმოდგენილ მასალებში და გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს. პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის ძირითადი არსი.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში იკვეთება, რომ შემუშავებული ინდივიდუალური სამუშაო გეგმები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე. აღნიშნული გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ეს გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებაში, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვაში და სწავლების მეთოდების ადაპტირებაში მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე შეიცავს აუცილებელ კომპონენტებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს და გასაუბრებისას სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმაც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შეესაძლებლობებს, ცდილობენ ისეთი დავალებების შეტანას, რომელთა შესრულებაც ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს შეეძლება თავისი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომასაც. **რჩევა**: კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.

მათემატიკა	სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია გამოსჭვივის არა მარტო წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და დამატებით გამოგზავნილ მასალებში, არამედ დაადასტურეს ინტერვიუს დროსაც, რაც ასახულია მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმში , სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. უკეთეს შედეგებზე გავლენ თუ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში მეტად გამოიყენებენ სხვა საგნებთან საგანთაშორისი კავშირებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ეფუძნება დიფერენცირებულ სასწავლო მიდგომებს და ქმნის პირობებს ყველა მოსწავლის აქტიური და თანაბარი ჩართულობისთვის. იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს თითოეულის ჩართვას უსაფრთხო და მოტივაციურ სასწავლო გარემოში. აღნიშნული მიდგომა სრულად პასუხობს დასახულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზეც აღნიშნეს რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, რაც თავისთავად ხელს უწყობს დიფერენცირებას და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია.**

4. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა პირისპირ შეხვედრისას წარმოადგინეს სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა საინტერესო ნამუშევრები. საბაზო და საშუალო საფეხურზე აქვთ შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავთარებელი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, და შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქოემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა.

	საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ მასწავლებლემა გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები. **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე, მე-4 კლასის კურიკულუმს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, თუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ სამიზნე ცნებასთან მიმართებით (ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები) და უნდა წარმოაჩინოს ნამუშევრის წარდგენისას. ეს ფაქტობრივად განმავითარებელი შეფასების რუბრიკაა, თუმცა უკეთესი იქნება, მასწავლებელმა კონკრეტულად დააფიქსიროს, რა მოლოდინი აქვს მოსწავლისგან, რას გააცნობიერებს, წარმოაჩენს, გაიაზრებს მოსწავლე სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენის სახით დავალების შესრულებისას საჭირო საკითხების შესწავლის დროს მოცემულ თემაში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იყენებენ მრავალფეროვან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, კერძოდ, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, საკლასო დავალების შეფასების რუბრიკა, თვითშეფასება, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა, შეაჯამებელი დავალების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივი მეცნიერებების თითოეულ საგანში, აღნიშნულიდან გამომდინარე ვიზიტის დროს გამოვითხოვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, თუმცა სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილ მასალებში კვლავ არ იძებნება აღნიშნული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი ასევე კონკრეტული დავალების პირობასთან მიმართებით.

	დავალების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები, თუმცა ზოგიერთი შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ს საგნობრივი მიზნები. შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ჯგუფში შემავალ საგნებში შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას, კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ ანალიზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, როგორიცაა დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტული მუშაობისა და სხვა აქტივობების შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული რუბრიკები პედაგოგების მიერ სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დადასტურდა მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროსაც. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკების გამოყენება მათ ეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის უფრო ზუსტად განსაზღვრასა და ეფექტიანი უკუკავშირის მიწოდებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში პედაგოგები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ გადმოაგზავნა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკები გაწერილია ცნებების

	მიხედვით და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრების დროს პედაგოგებმა დეტალურად ახსნეს, როგორ აფასებენ თავიანთ მოსწავლეებს, გაგვაცნეს კონკრეტული მაგალითები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები კომენტარების სახით. **რჩევა**: სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვა რუბრიკებიც სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	თავდაპირველად წარმოდგენილ მასალებში, ყველა საფეხურის კურიკულუმებში ნაკლებად იყო ასახული შეფასების სისტემები, მაგრამ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებმა ეს ხარვეზი გამოასწორა. მოსწავლეთა შეფასების სისტემა მათემატიკის ყველა საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** ***რჩევა*** *- მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ*

	და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე აჩვენებს, რომ შეფასების სისტემა ეფუძნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიღწევის ინდიკატორებს და ორიენტირებულია გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე.სასწავლო პროცესში პედაგოგები აქტიურად იყენებენ სიტყვიერ უკუკავშირს, რაც ზრდის შეფასების ეფექტიანობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის გააზრებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რამდენიმე კლასისთვის, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მისი კომპონენტები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კონკრეტული კომპლექსური დავალების პირობაზე, რომელიც დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები კონკრეტულია, მორგებულია საკითხს, მიემართება გრძელვადიან მიზანს. გასაუბრებაზე ასევე გაგვაცნეს რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ აქტივობათა შეფასების ვერბალურ ხერხს, ასევე მოსწავლეთა ურთიერთსეფასებას და თვითშეფასების მოდელს.

	ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება N 01-02/29[1];*
- *კათედრის დებულება;*
- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის სხვადასხვა მიმართულებით.*
- *კათედრების ოქმები;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით. მოსწავლეთა ნაშრომებიდან, მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას მოსწავლეთა მიღწევების ანალიზიდან, მოსწავლეთა შესრულებული დავალებების შესახებ საუბრიდან გამომდინარე, შეფასების რუბრიკებიდან, ჩამოთვლილი და გამოყენებული რესურსებიდან, თუ შერჩეული და შესრულებული აქტივობებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი საკითხების შესწავლისა და სიღრმისეულად გაცნობის საშუალებას, კომპლექსური ბუნების დავალებები კი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, უბიძგებს მას განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობის თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტების საშუალებით ჩანს , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და ამოცანების მიღწევას. ეს გამოიხატება არა მარტო წარმოდგენილი დოკუმენტებით არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაში ,რაც გასაუბრების დროს გამოიკვეთა,სხვადასხვა სასწავლო მაგალითებით. ასევე სკოლაში დანერგილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა.აქედან სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც აქტივობები დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად და ხელს უწყობს მოსწავლის სრულყოფილ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერები, შუალედური მიზნები და რესურსები. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მოიცავს სამივე საფეხურს.

	კურიკულუმი გამართულია, მასში შეტანილია სამიზნე ცნებები, სასწავლო წლის განმავლობაში შესასწავლი თემები, ტექსტები, გაწერილია მრავალფეროვანი რესურსები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ამ კომპონენტების სწორი შერჩევა და განაწილება, კათედრის წევრების მსჯელობა კურიკულუმის დანერგვასა და განვითარებაზე, მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმი არის დაგეგმილი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც დაგეგმილია სკოლის მიერ ყველა საფეხურის კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიდაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, საგნობრივი სტანდარტები და შესაბამისი სამიზნე ცნებები.სასწავლო პროცესში სრულად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები. დაგეგმილი აქტივობები და გამოყენებული რესურსები მხარს უჭერენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფენ როგორც თეორიული ცოდნის გაგებას, ისე პრაქტიკული უნარების ეფექტურ განვითარებას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებაც ამ მიზანს ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წარმოადგინეს და ისაუბრეს არაერთ პროდუქტზე, რაც მტკიცებულების სახით აქვთ შემონახული. ესენია პოსტერები, პლაკატები თუ სხვა. ამით დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილ რეაგირებას. სკოლაში კურიკულუმი გააზრებულია, როგორც „ცოცხალი დოკუმენტი“, რაც გულისხმობს სასწავლო გეგმის მუდმივ ადაპტაციას მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებთან. სკოლას გააჩნია ალტერნატიული აქტივობების ბანკი/რესურსი, რაც საშუალებას იძლევა, დაგეგმილი პროცესის შეფერხების შემთხვევაში, მოხდეს გეგმის ოპერატიული ჩანაცვლება. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღსანიშნავია მისი მცირეკონტიგენტიანობა - კლასებში 3-6 მოსწავლეა. ეს ქმნის ბუნებრივ წინაპირობას, რომ მასწავლებლები ფაქტობრივად ინდივიდუალურად მუშაობდნენ თითოეულ მოსწავლესთან. მცირერიცხოვანი კლასების პირობებში მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა დროულად ამოიცნოს სირთულეები და ოპერატიულად მოახდინოს სასწავლო პროცესის კორექტირება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის მართვა არ უნდა ხდებოდეს ფორმალურად, არამედ მოსწავლის ინტერესებიდან და ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს

მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოქნილი, ადაპტირებადი და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებელი აქტიურად იყენებს სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეებისთვის ნათელია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

უცხოური ენები	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის კრიტერიუმებს. ის დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საშუალებით. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	კათერის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ესთეტიკური აღზრდის საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელონება, მუსიკა) იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინსტრუმენტი არის ვალიდური-ფასდება ის, რისი შეფასებაც არის დაგეგმილი, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ აკრავენ რუბრიკებს საკლასო ოთახში, რათა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება რუბრიკაზე დაყრდნობით მოამზადოს დავალება. მოსწავლე ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგი, არამედ სწავლის პროცესიც. ამიტომ მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და

	მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ მათემატიკაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების პროცესში შემუშავებული და გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ემყარება საგნობრივი სტანდარტების მიღწევის ინდიკატორებს, ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე აძლევს მათ შესაძლებლობას გაიაზრონ საკუთარი პროგრესი და გააუმჯობესონ უნარები. შეფასების პროცესი ეფუძნება ობიექტურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას და სამართლიანობას, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ და განვითარებაზე მდგრად სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების კონკრეტული, მიზნობრივი რუბრიკები რომელიც კონკრეტულ საკითხს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა სრულად უზრუნველყოფს ვალიდურობასა და ობიექტურობას. სკოლაში შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც დასტურდება „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N 01-02/323 ბრძანებით) არსებობით. აღნიშნული მექანიზმი განსაზღვრავს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის წესს, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას. ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, სკოლა იყენებს კათედრებზე შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების წინასწარ განხილვასა და ანალიზს. კათედრის სხდომის ოქმით (დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი N2, 09.10.2025) დასტურდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად განიხილავენ და ამტკიცებენ გეგმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ერთგვაროვან მიდგომას. სკოლაში შემუშავებულია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები და სქემები, (დანართები 141, 143, 110). აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრას და შეფასების პროცესის ვალიდურობას. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს ნიმუშების შერჩევით შემოწმებას (მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20%-ის ოდენობით), ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში - სრულ შემოწმებას. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება დასკვნაში, რომელიც მოიცავს პროცესის აღწერას, შედეგებს, შეფასებებსა და გაუმჯობესების რეკომენდაციებს. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეფასების კრიტერიუმები საჯაროა სასკოლო საზოგადოებისთვის - გამოკრულია კლასებში და ეცნობება მშობლებს, რაც წარმოადგენს გარე ვერიფიკაციის (მშობელთა მხრიდან კონტროლის) დამატებით ინსტრუმენტს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ასევე ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან

აცილების პრინციპს, რომლის მიხედვითაც შიდა ვერიფიკატორები არ მონაწილეობენ იმ პროცესების შეფასების გადაწყვეტილებებში, რომელშიც ისინი თავად არიან ჩართულნი.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მონაცემთა შენახვა და სისტემატიზაცია ხორციელდება როგორც მატერიალური, ისე ციფრული ფორმატების გამოყენებით. მატერიალური დოკუმენტაციის შენახვის კუთხით, სკოლაში წარმოებს მოსწავლეთა პირადი საქმეები, კათედრის სხდომების ოქმები (მათ შორის, დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი N2, 09.10.2025) და სხვა სახის სასკოლო დოკუმენტაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების (წლიური) დოკუმენტაციის შენახვას, რომელიც თავმოყრილია მოსწავლის პირად საქმეში. ეს უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი 3-წლიანი შენახვის ვადის დაცვას. ციფრული მონაცემთა შენახვის კუთხით, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სადაც ასახულია განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები. ელექტრონული ფორმატი უზრუნველყოფს ინფორმაციის გრძელვადიან დაცულობას, აგრეთვე მის ხელმისაწვდომობას უფლებამოსილი პირებისთვის. მონაცემთა შენახვის სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს „საჩივრების განხილვის წესი“ (დანართი 68), რომელიც ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების - ტესტების, ნამუშევრების, შეფასების სხვა მასალების - საჭიროებისამებრ შენახვისა და გადამოწმებისთვის. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ საჩივრის განხილვის შემთხვევაში, სკოლას ჰქონდეს შესაბამისი მტკიცებულებები შეფასების ობიექტურობისა და ვალიდურობის დასადასტურებლად.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა;*
- *ოქმი 2 ვერიფიკატორის არჩევა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის სხვადასხვა მიმართულებით.*
- *კათედრების ოქმები;*
- *დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;*
- *შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;*
- *პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გარკვეული რესურსი, რომელსაც საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და შემოქმედებითი დავალებების შესრულებისას. თუმცა საჭიროა მისი განახლება და უკეთ აღჭურვა. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსსაც, სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, და ასევე საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მითითებულია სხვადასხვა დამხმარე სასწავლო

	რესურსები, როგორიცაა: ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში საგნის მასწავლებლის მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი ისე დამხმარე რესურსები, რომლებიც თანხვედრაშია სტანდარტით გათვალისწინებულ თემებთან , ცნებებთან და შემოქმედებით დავალებებთან. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად დამხმარე რესურსებად ძირითადად წარმოდგენილია ონლაინ რესურები. ეს ყველაფერი ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს ეროვნული სასწვალო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ლინკები) გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილ კურიკულუმების უმეტესობაში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაასახელეს არაერთი რესურსი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგალითად: ტექსტების მიხედვით გადაღებულ ფილმებს, აუდიოტექსტებს, ონლაინსავარჯიშოებს გრამატიკაში... **რჩევა:** ამ კუთხით შესავსებია XI კლასის კურიკულუმი, რომელშიც მითითებულია მხოლოდ ძირითადი რესურსი - სახელმძღვანელო. კარგი იქნება, თუ კათედრა იმუშავებს ამ კლასშიც რესურსების გამრავალფეროვნებაზე და შეიტანს დამატებით რესურსებს კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** ***რჩევა***-*მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც კურიკულუმებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას.*

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილია როგორც გრიფირებული, ისე არაგრიფირებული, თუმცა თემატურად შესაბამისი რესურსები, რომლებიც მიმართულია სასწავლო მიზნების შესრულებაზე. გრიფირებული სახელმძღვანელოები ითვლება ძირითადი სასწავლო რესურსად და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების და სასწავლო შედეგების სისტემურ გააზრებას. დამატებითი, არაგრიფირებული რესურსები კი ხელს უწყობს თემის უფრო ღრმად გააზრებას, საკითხის მრავალმხრივ განხილვას და მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, გვხვდება ციფრული რესურსები, მაორგანიზებელი სქემები, დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათრდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს უცხოური ენების სწავლა სწავლების ეფექტურობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს წარმოდგენილ ფაქტებზე დგინდება, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწისში ირჩევს

	ძირითად თუ დამხმარე რესურსებს, არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ გარემოში მიზნობრივად, სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმების საშუალებით დგინდება, რომ დამხმარე რესურსები, რომლებიც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, ვალიდურია. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას სასწავლო პროცესში, რაც ჩანს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში არსებული და სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის ვალიდაცია ხდებაკათედრასთან თანამშრომლობით. ვალიდაციის პროცესში ხდება რესურსების შესაბამისობის შეფასება სასწავლო მიზნებსა და უსაფრთხოების სტანდარტებთან, მათი მდგომარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში განახლება ან დამატებითი მასალების უზრუნველყოფა. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ეფექტურ, ხარისხიან და უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას, მოტივაციას და სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები ყველა შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების შესაბამისად: დამატებითი ელექტრონული რესურსები. სასწავლო პროცესში გამოიყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას (მაგ. სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, მაგალითად, სიმულაციური პლატფორმები, ტელესკოლის გაკვეთილები). **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მოსწავლეები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად სკოლაში ყველა მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისათვის. ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვლინდება რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ინტერნეტ რესურსებს, იყენებენ საკუთარ და მოსწავლეების შემოქმედებით უნარებს და ქმნიან რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისად არის შედგენილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა შესაძლებლობა როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის სახით უზრუნველყოს ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევა მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტურ და მიზნობრივ წარმართვას. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ყველა აქტივობისთვის. სასწავლო სივრცე მოწყობილია მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მათ ინდივიდუალურ ჩართულობას, თავისუფალ მოძრაობას და ფიზიკური უნარების სრულყოფილ განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მოსწავლეები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი, მათ შორის 5 პედაგოგი წამყვანის სტატუსის მქონეა. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლას ვაკანტური ჰქონდა სპეციალური მასწავლებლის პოზიცია. პედაგოგების კვალიფიკაცია ძირითადად დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: დიპლომი, სერტიფიკატები. თუმცა, სკოლის სპორტის ერთ და დაწყებითი კლასების ერთ პედაგოგს, არ უდასტურდებათ კვალიფიკაცია. ასევე, სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირი ასწავლის საგანს "მუსიკა", დაწყებითი 1-4 კლასების მასწავლებლები კი საგნებს: "მე და საზოგადოება", "ისტ" და "სპორტი". წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენჯერმე გამოაცხადა კონკურსი სპორტის და მუსიკის მასწავლებლის ვაკანტური ადგილების შესავსებად, რომელშიც მონაწილეობა არ მიიღო სასურველმა კანდიდატურებმა, არც მაძიებლობის მსურველმა პირებმა.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სპორტის, მუსიკის, მე და საზოგადოების, ისტ და ერთი დაწყებით კლასების მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, კანონმდებლობის შესაბამისად საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე. 12 თვემდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის დაწყებითი საფეხურისთვის უზრუნველყოს საგნების: სპორტი, მუსიკა, მე და საზოგადოება, ისტ და დაწყებით კლასების კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის საბაზო საფეხურისთვის უზრუნველყოს სპორტის და მუსიკის კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *Emis -ის ბაზა;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *საშუალო საფხეურის კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ლაბორატორიით სარგებლობის წესი 2025;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N 01-02/291 ბრძანება). აღნიშნული დოკუმენტი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების სრულ ციკლს, რომელიც მოიცავს დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის ეტაპებს. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია კურიკულუმის ყოველწლიური განახლება შეგროვილი მონაცემების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ ადაპტაციას მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებთან. მონიტორინგის პროცესს ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, კათედრებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ სკოლა იყენებს დიაგნოსტირების ინსტრუმენტებს (დანართი 107), რაც ადასტურებს, რომ მონიტორინგი არ ატარებს ფორმალურ ხასიათს, არამედ ეფუძნება რეალურ საგაკვეთილო პროცესს. მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმში შესაბამისი კორექტივების შეტანა, რაც უზრუნველყოფს მის დინამიურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის გადამუშავებისა და დიაგნოსტირების მექანიზმი. სკოლა იყენებს „კურიკულუმის გადამუშავებისა და დიაგნოსტირების“ ფორმას, რომელიც წარმოადგენს კურიკულუმის განვითარების პროცესის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. აღნიშნული ფორმა ორიენტირებულია ტიპური პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი აღმოფხვრის გზების ძიებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პრობლემების ანალიზი ხდება ურთიერთდასწრებითა და კრიტიკული მეგობრის უკუკავშირით, რაც უზრუნველყოფს შეფასების მრავალმხრივობასა და ობიექტურობას. დოკუმენტურად დასტურდება, რომ მასწავლებლები გამოკვეთენ მოსწავლეთა ტიპურ პრობლემებს და აღწერენ მათ მნიშვნელობას, რაც ქმნის საფუძველს მიზანმიმართული საგანმანათლებლო ჩარევების განსახორციელებლად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პრობლემებზე დროულ რეაგირებასა და საპრევენციო ღონისძიებების დაგეგმვას. დიაგნოსტირების პროცესში გამოვლენილი შედეგების საფუძველზე ხდება კურიკულუმის შესაბამისი კორექტირება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მონიტორინგის პროცესი მიმართულია მასწავლებელთა პროფესიულ მხარდაჭერასა და გამოცდილების გაზიარებაზე. „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის N 01-02/291 ბრძანებით) განსაზღვრული პრინციპების თანახმად, კურიკულუმის განვითარება ეფუძნება კათედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ერთობლივ ანალიზს. მონიტორინგის პროცესს ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შექმნაც დასტურდება შესაბამისი ბრძანებით. სკოლა აცნობიერებს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმების შესადგენად, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიზანმიმართულ და საჭიროებებზე მორგებულ ხასიათს. ეს პროცესი ხელს უწყობს ერთიანი შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას და სასკოლო საზოგადოების გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ სკოლა გეგმავს სამომავლო სტრატეგიული ხედვის შემუშავებას სწორედ მონიტორინგის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, რაც მიუთითებს პროცესის შედეგებზე ორიენტირებულ ხასიათზე.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება N 01-02/29[1];*
- *კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დაზუსტებული მექანიზმები;*
- *დიაგნოსტირება.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

დოკუმენტაციის ანალიზის, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ხასიათდება მოქნილობით და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია ინარჩუნებს ზოგად საკოორდინაციო როლს, დანართი 141-ით დასტურდება შეფასების რეალური პრაქტიკის დეცენტრალიზებული ხასიათი, რაც გულისხმობს უშუალოდ პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობას. რუბრიკების არსებობა და მათი მრავალფეროვნება (პრეზენტაცია, პროექტი, წერითი სამუშაო) ცხადყოფს, რომ სკოლა სცილდება ტრადიციული ტესტირების საზღვრებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა სხვადასხვა კომპეტენციის (მათ შორის, ანალიტიკური, შემოქმედებითი და საკომუნიკაციო) ობიექტურ შეფასებას. ამრიგად, სკოლაში დანერგილი შეფასების მოდელი შეიძლება შეფასდეს, როგორც ეფექტიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მოსწავლის განვითარებისათვის ხელისშემწყობი.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს ჰოლისტური მიდგომის საფუძველზე, რომელიც სცილდება მხოლოდ აკადემიური ნიშნების აღრიცხვას. შეფასების სისტემა მოიცავს როგორც სასკოლო გარემოს, ისე მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმებს. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სოციალურ-ემოციურ გარემოს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მონაცემთა შეგროვება ხორციელდება რაოდენობრივი (ნიშნები, ტესტის ქულები) და თვისებრივი (კომენტარები, უკუკავშირი) მეთოდების ინტეგრირებით. აღსანიშნავია „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ (დანართი 111) არსებობა, რომელიც ადგენს წესებს მონაცემთა ვალიდურობისა და სანდოობის შემოწმებისთვის. ანალიზი ცხადყოფს, რომ

სკოლა დიფერენცირებულად იყენებს დიაგნოსტიკურ წერებს (დანართი 107) საწყისი ეტაპის შესაფასებლად, ხოლო შემაჯამებელ დავალებებს (დანართი 108/140) - პროგრესის გასაზომად. ვერიფიკატორის ინსტიტუტის არსებობა (ოქმი N2) მიუთითებს მონაცემთა დამუშავების სისტემურ მიდგომაზე, რაც, მიზნად ისახავს სუბიექტურობის მინიმიზაციასა და შეფასების ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ნიშნებით, არამედ მოიცავს სასკოლო გარემოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებასა და უკუკავშირს. ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაზე აქცენტი გაკეთებულია, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელ მხარდამჭერ კონტექსტზე. დოკუმენტაციის დონეზე აღნიშნული მიდგომა დასტურდება. ჰოლისტური მიდგომა სკოლაში ვლინდება გარემოსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის აღიარებით. „კრიტიკული მეგობრის“ და ურთიერთდასწრების პრაქტიკა უკვე აპრობირებულია და ხელს უწყობს პროცესზე დაკვირვებას ბუნებრივ გარემოში.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *დიაგნოსტიკური წერები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შემაჯამებლები შეფასების რუბრიკები;*
- *ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა ოქმი 2;*
- *ვერიფიკატორის არჩევა.*

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N 01-02/29[1]). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მომზადების პროცედურა. სკოლა ეტაპობრივად ნერგავს „კურიკულუმის ანგარიშის ფორმას“ (დანართი 177), რომელიც წარმოადგენს საჭიროებათა იდენტიფიცირების მთავარ ინსტრუმენტს. მასწავლებლები თითოეული სასწავლო თემის/ციკლის დასრულების შემდეგ ავსებენ აღნიშნულ ფორმას, სადაც აფიქსირებენ აქტივობების/დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ სირთულეებსა და წარმატებებს. წარმოდგენილი „ანგარიშის ფორმა“ (დანართი 177) არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს; იგი მოიცავს რეფლექსიურ კითხვებს, რომლებიც მასწავლებელს უბიძგებს გააანალიზოს სხვაობა დაგეგმილსა და რეალურ შედეგს შორის. სკოლა ადასტურებს, რომ მას უკვე გააჩნია იდენტიფიცირებული გარკვეული საჭიროებები (მაგალითად, მოსწავლეთა ტიპური პრობლემები ლექსიკურ მარაგთან ან ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებით, რაც დოკუმენტირებულია დანართ 107-ში). აღნიშნული მონაცემები გროვდება ერთიან პაკეტში, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგენს კურიკულუმის თვისობრივი ცვლილების საფუძველს. სკოლას აქვს გააზრებული, რომ

კურიკულუმის რევიზია უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ პროგრამულ, არამედ მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის საჭიროებებსაც. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს სასწავლო პროცესის სისტემური განვითარებისკენ მიმართულ მცდელობაზე.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N-0102/38[3]), რომლის ფუნქციაა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი და მიღებული შედეგების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავება. „სასკოლო სასწავლო გეგმა“ (დანართი 116) განსაზღვრავს კურიკულუმის გადასინჯვის პერიოდულობასა და პასუხისმგებელ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ სრული წლიური ციკლი ჯერ არ დასრულებულა, სკოლამ წარმოადგინა მიმდინარე დიაგნოსტირებისა და შეფასების შედეგები, რაც უკვე გამოიყენება კურიკულუმის დანერგვის პროცესში კორექტირებისათვის. გასაუბრებით წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ კურიკულუმის გადამუშავება ეფუძნება: კათედრებზე განხილულ ოქმებს; მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგებს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის 1.3.8 პუნქტი (მონიტორინგი და შეფასება) ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს: *მონაცემთა შეგროვება, ანალიზი, კურიკულუმის რევიზია.* აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი იქნება უფრო მეტად მორგებული მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (N 01-02/29[1]);*
- *სამუშაო ჯგუფის ბრძანება (N-0102/38[3];*
- *კურიკულუმის გადამუშავების ფორმა;*
- *კურიკულუმის გადამუშავება და დიაგნოსტირება;*
- *ანგარიშის/დიაგნოსტირების ფორმები (დანართი 177);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართი 116).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 29.04 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: **მაკა მამფორია** -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნათელა ბასილია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

მაია მერებაშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ლარცულიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო მურუსიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი